ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი ----წ.

ერთის მხრივ, **შპს „---------------“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) და მეორეს მხრივ, **შპს „ავერსის კლინიკა’’**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით (შემდგომში ,,მყიდველი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მყიდველი მიმწოდებლისაგან ყიდულობს ----------- (შემდგომში ,,საქონელი”).

1.2. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ.

**2. ანგარიშსწორება და გადახდის პირობები**

2.1. საქონლის სრული ღირებულება შეადგენს -----------------.

2.2. საქონლის ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, საქონლის სრულად გადაცემის შემდეგ, მხარეთა მიერ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის/სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან ---------- კალენდარული დღის ვადაში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

**3. სახელშეკრულებო ვადა**

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და საბოლოო შესრულებამდე.

**4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი:

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია, მყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი, განბაჟებული, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობითა და პირობებით.

4.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებაზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან --------- ვადაში.

4.1.3. საქონლის მიწოდებამდე დაკარგვის ან დაზიანების რისკს ღებულობს მიმწოდებელი, ხოლო მიწოდების შემდეგ საქონლის და შენახვის პირობებზე პასუხისმგებელია მყიდველი.

4.1.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მყიდველისათვის მიწოდებისას გამოწეროს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები. საქონლის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გამოწერით, რის შემდეგაც მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

4.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდების დროს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ნაკლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით გამოცვალოს საქონელი.

4.1.6. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი აღმოჩნდა ნივთობრივად ან/და უფლებრივად ნაკლიანი, მიმწოდებელი ვალდებულია, არსებული ნაკლი -------- ვადაში გამოასწოროს ან -------- ვადაში შეცვალოს წუნდებული საქონელი ახალი, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა და ტექნიკური მახასიათებლების მქონე საქონლით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში უკან დაუბრუნოს მყიდველს დაზიანებული საქონლის ღირებულება, ამასთან, გადაიხადოს პირგასამტეხლო საქონლის ღირებულების 50%-ის ოდენობით.

4.1.7. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია, რომლის ათვლაც დაიწყება საქონლის მოწოდების თარიღიდან/სასაქონლო ზედნადების გამოწერის თარიღიდან და მოქმედებს ---------- განმავლობაში. თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონელს აღმოაჩნდება დეფექტები/ნაკლოვანება/ხარვეზი (თუ ეს დეფექტი არ არის გამოწვეული საქონლის არასწორი

ექსპლუატაციით), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, -------- კვირის ვადაში აღმოფხვრას აღნიშნული დეფექტი/ნაკლოვანება/ხარვეზი, ან ----------- ვადაში შეცვალოს წუნდებული საქონელი ან მისი ნაწილი ახლით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციფიკაციის საქონლით.

4.1.8. მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს საქონლის შესაბამისი სერვისი (მონტაჟი, ინსტალაცია, შემდგომი შემოწმება/ტესტირება, გაშვება) საქონლის მიწოდებისთანავე და შემდეგ ჩაუტაროს ტრეინინგი მყიდველის მიერ მითითებულ პირებს მისი სწორი ექსპლუატაციის შესახებ, საქონლის მიწოდებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში. საქონლის მიწოდებისა და შემდგომი სერვისის (მონტაჟი, ინსტალაცია, შემდგომი შემოწმება/ტესტირება, გაშვება) დასრულების შემდგომ მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

4.2. მყიდველის უფლება-მოვალეობანი:

4.2.1. მყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს მიმწოდებელს თანხა იმ ოდენობითა და ვადებში, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

4.2.2. მყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს მიმწოდებლისგან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

4.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია, უშედეგო გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში, ცალმხრივად გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ამასთან, მყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**5. მხარეთა პასუხისმგებლობა**

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე მოვალეა, აანაზღაუროს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.3. მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

5.4. მყიდველის მიერ საქონლის ღირებულების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს, მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (მათ შორის 4.1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში) მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს მყიდველისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი იმ ოდენობით რა ოდენობითაც დაუჯდება მყიდველს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლოვანების და დეფექტის აღმოფხვრა.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლი არ/ვერ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და მყიდველს არ/ვერ მიაწოდებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საქონელს ან/და მიაწოდებს 4.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევით ან/და 4.1.6. პუნქტის შესრულების ვადებს გადააცილებს 2 (ორი) კვირით, რის გამოც მხარეთა შორის არ/ვერ გაფორმდება მიწოდებაზე, ინსტალაციაზე და სერვისზე მიღება-ჩაბარების აქტი, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია, აანაზღაუროს მყიდველისათვის მიყენებული ზიანი და სრულად დააბრუნოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადარიცხული ყველა თანხა.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს მყიდველის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რეალიზაციის გაზრდა, წინწაწევა ან ამ საქონლის შესყიდვა, მყიდველი უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია

გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

**6. ფორს-მაჟორული გარემოებანი**

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, ეპიდემია და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობებს აღემატებოდა და რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია ვალდებულების შეუსრულებლობაზე. აღნიშნული გარემოების აღმოფხვრისთანავე, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის გარემოებები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი ფაქტის დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველ გარემოებათა არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**7. განსაკუთრებული პირობა**

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს, საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ შემსრულებელი ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც მყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით მყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

**8. დამატებითი პირობები**

8.1. ხელშეკრულებაში ყველა ცვლილება ან/და დამატება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების შედეგად, რაზეც ხელს უნდა აწერდნენ მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლება-მოვალეობანი გადასცეს მესამე პირს.

8.3. ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მოლაპარაკების გზით.

8.4. მოლაპარაკების მიუღწევლობისას დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5. ხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

8.7. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.8 მიმწოდებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

8.9. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიმწოდებლის მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–$1^1$ პუნქტის შესაბამისად.

8.10. ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლარი.

9. მხარეთა რეკვიზიტები: